საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზუტნერი (შუტტნერ) არტურ

ზუტნერი (Suttner) არტურ გუნდაკარ ფონ (21. II. 1850–10. XII. 1902), ავსტრიელი მწერალი; მეუღლესთან ბ. ფონ ზუტნერთან ერთად ცხრა წელი (1876–85) ცხოვრობდა საქართველოში. თითქმის მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა საქართველოსა და კავკასიის თემას; საყურადღებოა მისი რომანები „დარეჯანი" (მეორე *გამოც.* 1896, პირველი არ არის მიკვლეული), „აზნაური" (1886), „შამილი", „აჭარლები" (ორივე 1890), „ჩერქეზები" (1898). XIX ს. II ნახ. საქართველო საინტერესოდაა წარმოსახული მოთხრობების კრებულში „კავკასიის შვილები" (2 წიგნად, 1890–91). ცნობილია, რომ ცოლ-ქმარი დიდად დაინტერესებულა „ვეფხისტყაოსნით" (თარგმნეს გერმ. და ფრანგ. ენებზე, თარგმანი არ არის მიკვლეული); თარგმნის დაწყებამდე, 1884, ზ-ს გაზ. „კავკაზის" რამდენიმე ნომერში გამოუქვეყნებია საინტერესო წერილები, რ-ებიც იმავე წელს „ივერიამაც" დაბეჭდა სათაურით «უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე". პოემის გადათარგმნის გამო ფრანსიულს ენაზე». ეს იყო უცხოელი ავტორის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი რუსთაველის შესახებ.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ნ., რ უ ხ ა ძ ე ნ., კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბ., 1963; კ ა ხ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ვ., კოლხ მედეადან თანამედროვე საქართველომდე, თბ., 1984.

ნ. კაკაბაძე